

1

მარცხი

დიდმარხვის II კვირა [II], ი

2021

ორშაბათი

დან 9,4-10; ფს 78; ლკ 6,36-38

მიუცეკეთ და მოგეცეკებათ ლკ 6,37

მაგანმა სახალხოდ დამდო ბრალი. იესოს მადლით უფალს მივანდე ჩემი დაცვა. რამოდენიმე დღის შემდეგ შევძელი ჩემს „მტერთან“ შეხვედრა და გარკვევა. მოტევება მთხოვა და მეც მივუტევე მას იესოს სახელით, თუმცა ეს იოლი არ ყოფილა ჩემთვის. მადლობა, იესო: მიტევებით შევძლებ შენგან მიტევების მიღებას. და შენ დამეხმარები ისიც დავინახო, რაშიც არა ვარ მართალი.

2

მარცხი

დიდმარხვის II კვირა [II], ი

2021

სამშაბათი

ეს 1,10.16-20; ფს 49; მთ 23,1-12

წინამძღვარი ერთი გყავთ
თქვენ - ქრისტე მთ 23,10

იესო ჩვენც, თავის პირველ მოწაფეთა მსგავსად, გვეუბნება ამ სიტყვას, რათა არ მოვირგოთ ძმათა დამმოდღვრელთა სამოსი, არამედ თავმდაბლად დავეხმაროთ ერთმანეთს მისკენ მზერაში, მის მოსმენაში, რომელიცაა ერთადერთი წინამძღვარი, ვისაც უნდა მივსდეთ. მადლობა, იესო, რომ ჩვენს ცხოვრებაში ცხოვრობ.

3

მარცხი

დიდმარხვის II კვირა [II], ი

2021

ოთხშაბათი

იერ 18,18-20; ფს 30; მთ 20,17-28

ღედის ღლე

თქვენს შორის ასე ნუ იქნება მთ 20,26

მადლობა, იესო, ამ სიტყვისათვის. შენ გსურს, შენგან ვისწავლოთ თავმდაბლად და მშვიდად ცხოვრება, ძმათა სამსახურად, ამაო კულაბზიკობისგან თავისუფლებმა. შენ შეგვეწევი წმიდა სულის ნათლითა და ძალით: კვლავ და კვლავ, მადლობა შენდა, იესო!

4

მარცხი

დიდმარხვის II კვირა [II], ი

წმ. კაზიმირი, +1484

2021

ხუთშაბათი

იერ 17,5-10; ფს 1; ლკ 16,19-31

მე, უფალი, ვიკვლევ
გონებასა და გულებს იერ 17,10

იესო სიღრმეში ხედავს. ვისურვებდი ამ
დიდმარხვის ჟამს ერთი დღე პურსა და წყალზე
მიმეძღვნა მისთვის. თუმცა ჩემმა სულიერმა
მოძღვარმა, რომელიც იცნობს ჩემს მიდრეკილებას
ყოყოჩობისაკენ, უარი მათქმევინა ამ განზრახვაზე.
მივუძღვნი მამას თავმდაბლობასა და ქმედით
სიყვარულს!

5

მარცხი

დიდმარხვის II კვირა [II], ი

2021

პარასკევი

დაბ 37,3-4.12-13.17-28; ფს 104; მთ 21,33-43.45-46

ჩემი შვილის მოერიდებათო მთ 21,37

ღმერთმა მიანდო თავის ერზე ზრუნვა რჩეულ
პირებს. არადა მათ მოინდომეს საკუთარი გეგმების
ჩარხვა. მამამ წინასწარმეტყველნი მიუვლინა
მათ შესასწორებლად, მათ კი დახოცეს ისინი.
ბოლოს და ბოლოს გაუგზავნა ძე, იმ იმედით, რომ
მას მოუფრთხილდებოდნენ, არადა მათ თავიდან
მოიშორეს იგი. ქმენ, მამაო, რომ ეკლესიის მწყემსთ
უყვარდეთ შენი აღმდგარი ძე, ამგვარად შეძლებენ
დაეხმარონ მორწმუნეებს იცხოვრონ შენს
სიყვარულში.

6

მარცხი

დიდმარხვის II კვირა [II], ი

(22.II) წმმ. ცხრანი ყრმანი კოლაელნი, VIIს, წამებულნი

2021

შ ა ბ ა თ ი

მიქ 7,14-15.18-20; ფს 102; ლკ 15,1-3.11-32

ადგა და წავიდა თავის მამასთან

ლკ 15,20

პერიოდულად მეგობრებთან ერთად სახარების
სამედიტაციოდ შეკრება და „მადლში“ ცხოვრების
მოთხოვნები ზედმეტ ტვირთად მეჩვენებოდა.
რამოდენიმე წლის განმავლობაში მიტოვებული
მქონდა ყველაფერი, მაგრამ შედეგად ვიგრძენი,
სიცარიელე და სევდა. მაშინ გადავწყვიტე,
ხელახლა დაგვოლოდი იესოს შინაგან ძახილს და
დავბრუნებულიყავი მასთან.
მადლობა, იესო: მხოლოდ შენ იძლევი მამასთან
თანაზიარების სისავსის გემოს!

7

მარტი

დიდმარხვის III კვირადღე, «ბ», [III], ი

2021

კვირა

გამ 20,1-17; ფს 18; 1კორ 1,22-25; იო 2,13-25.

ამ კვირის განმავლობაში შესაძლებელია აირჩეს

„ა“ წლის დიდმარხვის მე-3 კვირადღის საკითხავები

ჩემი მამის სახლს ნუ გახდით სავაჭრო სახლად იო 2,16

იესო იერუსალემის ტაძარში შესვლისას ხედავს ხალხს სამსხვერპლო პირუტყვის ყიდვა-გაყიდვით რომ არიან დაკავებულნი და ფულის გადამცვლელთ. იგი ყველას განდევნის გარეთ, რადგან ეს ადგილი განკუთვნილი უნდა ყოფილიყო მხოლოდ ღოცვისათვის, ღვთის სიყვარულთან შეხვედრისათვის. ჩემ თავს ვეკითხები, დაკავებული ხომ არაა ჩემი გული საწუთრო ინტერესებით და არის თუ არა თავისუფალი მამის ნების აღსასრულებლად. იესო, გვედრები, განმწმიდე, როცა ხედავ, რომ მჭირდება ეს!

8

მარცხი

დიდმარხვის III კვირა [III], ი

წმ. იოანე ღმრთისა, ბერი +1550

2021

ორშაბათი

4მეფ 5,1-15; ფს 41-42; ლკ 4,24-30

ქალთა საერთაშორისო დღე

მან გაიარა მათ შორის
და წავიდა ლკ 4,30

იესოს შეურაცხყოფენ და უარყოფენ სწორედ იქ, სადაც აღიზარდა! ვინც იცნობს მას, არა სურს აღიაროს, რომ იგია ღვთის მსახური. არადა შეეძლოთ კაპერნაუმში მომხდარი სასწაულებით ამოეცნოთ იგი. დაე, არ დასჭირდეს იესოს წასვლა ჩემი სახლიდან, ჩემი სოფლიდან, ჩემი ქალაქიდან! დღეს მას ყველაზე ცოცხლად და მტკიცედ ვღებულობ.

9

მარტი

დიდმარხვის III კვირა [III], ი

წმ. ფრანცისკა რომაელი, მონაზონი, +1440

2021

სამშაბათი

დან 3,25.34-43; ფს 24; მთ 18,21-35

გვიხსენი შენი სასწაულებით დან 3,43

ესაა თავმდაბალი ლოცვა, მთელი განდევნილი
ებრაელი ერის სახელით წარმოთქმული ერთი
ყმაწვილის პირით, რომელსაც სიკვდილი აქვს
მისჯილი სხვა ორთან ერთად;

იესო, მიეც ახალგაზრდა ქრისტიანებს ცოცხალი
რწმენა და ფართე და სუფთა გული!

10

მარცხი

დიდმარხვის III კვირა [III], ი

2021

ოთხშაბათი

რჯლ 4,1.5-9; ფს 147; მთ 5,17-19

ვინც დაიცავს მათ, დიდი და-
ერქმევს ცათა სასუფეველში მთ 5,19

იესო საუბრობს მამის მიერ მოცემულ ნორმებზე,
რათა შევძლოთ მის შვილთა დარად ცხოვრება.

თუკი ვასრულებთ ცხოვრებაში და ვეხმარებით
სხვებსაც მათ განხორციელებაში, იგი მოგვიწონებს
ჩვენ და დაგვაფალეს თავისი სასუფეველის რაიმე
საპასუხისმგებლო საქმეს.

შენ, წმიდაო სულო, შეგვეწევი ჩვენ!

11

მარცხი

დიდმარხვის III კვირა [III], ი

2021

ხუთშაბათი

იერ 7,23-28; ფს 94; ლკ 11,14-23

იესო დევნიდა ეშმაკს,
რომელიც მუნჯი იყო ლკ 11,14

იესომ ამოიცნო, რომ ამ ადამიანის უძლურების მიზეზი იყო არა სნეულება, არამედ დემონს ჰყავდა ეს კაცი შეპყრობილი და დამუნჯებული.

დღესაც არსებობენ ქრისტიანებში ხალხი, ვისაც არ ძალუძს იესოს სიტყვის მიღება და სხვათათვის უწყება. მათ შორის მეც ვიყავი. ახლა კი ვმადლობ იესოს, იმ წადილისათვის, მე რომ მანიჭებს, რათა ვეძიო მისი სიტყვა, განვიაზრო და ვაუწყო, ყოველთვის, როდესაც ამის შესაძლებლობა მეძლევა.

12

მარტი

დიდმარხვის III კვირა [III], ი

2021

პარასკევი

ოს 14,2-10; ფს 80; მარ 12,28-34

ერთია იგი და არ არის სხვა,
მის გარდა მარ 12,32

რჯულის ერთ მცოდნეს იესომ პასუხად უთხრა:
„უფალი, ღმერთი ჩვენი ერთადერთი უფალია“, და
ისიც დათანხმდა. მოციქულებთან ერთად ჩვენც
მტკიცედ ვაუწყებთ: „ღმერთია ჩვენი უფლის იესო
ქრისტეს მამა“. მაღლობა, სულო წმიდაო, ამ მტკი-
ცე რწმენისათვის!

13

მარცხი

დიდმარხვის III კვირა [III], ი

2021

შ ა ბ ა თ ი

ოს 6,1-6; ფს 50; ლკ 18,9-14

ღმერთო, შემიწყალე
მე ცოდვილი ლკ 18,13

ესაა თავმდაბალთა ლოცვა, მამისათვის სათნო.
თუკი წარვდგები მის წინაშე მონანული გულით,
დარწმუნებული ვარ, რომ იგი მომიტევებს.
ამგვარად, აღსარებით ვუბრუნდები მასთან
თანხმობას და მისი მშვიდობა აღმავსებს მე.

14

მარტი

დიდმარხვის IV კვირადღე, «ბ», [IV], ვ

2021

კვირა

2ნეშტ36,14-16.19-23; ფს136; ეფ2,4-10; იო3,14-21

ამ კვირის განმავლობაში შესაძლებელია აირჩეს

„ა“ წლის დიდმარხვის მე-4 კვირადღის საკითხავები

ჯემმარიცების მოქმედი ნათლისკენ მიდის იო 3,21

ნიკოდემოსი ღამით მივიდა იესოსთან; იგი შეუდგა
კონკრეტულ და სარისკო გზას იესოსაკენ, ღვთის
ნათლისაკენ.

მიყვებოდა ერთი მეგობარი, რომ ხალხი დასცინო-
და იმ ლოცვის ჯგუფს, რომელშიც იგი დადიოდა.
ეს გულს კი სტკენდა მას, მაგრამ არ მიუტოვებია
იესოს სიყვარული იმ ძმებთან ერთად. ახლა კი
მადლობას სწირავს მას, რადგან გამოეცხადა მას და
აღძრა მასში გულმოწყალე აზრები იმ ადამიანებზე.

15

მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV], ი

2021

ორშაბათი

ეს 65,17-21; ფს 29; იო 4,43-54

ცოცხალია შენი ძე იო 4,51

მეფის მოხელე, წარმართი კაცი მიდის იესოსთან, რათა სთხოვოს თავისი მომაკვდავი შვილის განკურნება და ამას აკეთებს თავმდაბლობითა და დიდი რწმენით. იესო ღებულობს მის თხოვნას და ანიჭებს მას თავის სიცოცხლის სიტყვას. ის კაცი უყოყმანოდ თანხმდება მას; ამგვარად შვილიც განიკურნა და სრულიად ოჯახიც მოექცა.

16

მარცხი

დიდმარხვის IV კვირა [IV], ი

(3.III) წმ. იოანე IV (V) ოქრობირ კათალიკოსი, +1048

2021

სამშაბათი

ეზეკ 47,1-9.12; ფს 45; იო 5,1-16

აჰა, განიკურნე!
ნულარ შესცოდავ იო 5,14

ცოდვა, ურჩობა იმ მამისადმი, რომელსაც ესოდენ
ვუყვარვართ, გავლენას ახდენს ჩვენს სხეულზეც და
ჩვენს ფსიქიკაზეც. იესო, რომელიც სწორედ ცოდვი-
სა და მისი შედეგებისაგან ჩვენს განსაკურნებლად
მოვიდა, გვეუბნება: „ნულარ შესცოდავ...“.
სულს წმიდაო, შენ შემეწევი დაგყვე იესოს
სიყვარულითა და გამძლეობით.

17

მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV], ი

წმ. პატრიციუსი, ეპ., +~461

2021

ოთხშაბათი

ეს 49,8-15; ფს 144; იო 5,17-30

ძეც აცოცხლებს,
ვინც თვითონ ნებას იო 5,21

ერთი ახალგაზრდა მიყვებოდა, როგორ უპასუხა მან იესოს მოხმობას. უცებ მკითხა: „კი მაგრამ, რატომ ამირჩია იესომ ათასობით ადამიანში?“. სინამდვილეში, აღმდგარი იესო ყველას მოუწოდებს, მისდევენ მას, იცხოვრონ მისთვის, თუნდაც სხვადასხვა გზით, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ქრისტიანულ გარემოცვაშიც ხშირად ვართ გონებაგაფანტულნი. ეს ართულებს მისი ხმის ამოცნობას და მისთვის გადაწყვეტილების მიღებას, მისი სიცოცხლის მისაღებად.

18

მარცხი

დიდმარხვის IV კვირა [IV], ი

წმ. კირილე იერუსალემელი, ეპ. ღამოდ. +386

2021

ხუთშაბათი

გამ 32,7-14; ფს 105; იო 5,31-47

მოსესი რომ გზამდეთ,
მეც მიწამებდით იო 5,46

მადლობა, იესო, იმ მოთმინებისა და სიყვარული-
სათვის, რომლითაც ელაპარაკები შენს მოწინააღ-
მდეგეებს. მადლობა, რომ გწადია მოგვაწოდო ეს
სიყვარული. დაგვეხმარები ვისწავლოთ შენგან შენი
წმიდა სულის მიღება, რომელიც გაგვაგებინებს მა-
მისეული დახსნის ჩანაფიქრს, რომელიც უძველესი
დროიდან დაიწყო. მადლობა.

19

მარტი

წმ. იოსები,
ნეტ. ქალწ. მარიამის მეუღლე დღ, [ს], თ

2021

პარასკევი

2მეფ 7,4-5.12-14.16; ფს 88; რომ 4,13.16-18.22; მთ 1,16.18-21.24
(ან, ლკ 2,41-51)

არლის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

იოსები, მისი ქმარი,
მართალი იყო მთ 1,19

იოსები, მარიამის ქმარი, წმიდა სულით
ხელმძღვანელობდა და ამგვარად მუდამ
სიყვარულში ცხოვრობდა. ის ცდილობდა ღმერთის
ნების აღსრულებას და ამით უკვე ჰგავდა იესოს.
იყო თავმდაბალი და ამგვარად მამამ შეძლო
მიენიჭებინა მისთვის თავისი ნათელი, როცა
არ იცოდა, როგორ მოქცეოდა მარიამს, თავის
დანიშნულს.

20 მარტი

დიდმარხვის IV კვირა [IV], ი

2021

შაბათი

იერ 11,18-20; ფს 7; იო 7,40-53

ჯეშმარიცად ეს არის წინასწარმეტყველი იო 7,40

იესოს წინაშე ყოველი ადამიანი მოხმობილია და-
იკავოს პოზიცია. თავმდაბალი და უბრალო გულის
პატრონი, ვისაც წმიდა სული შეხებია, ამოიცნობს
მას ისეთს, როგორიც არის: ძეს ღვთისას, ქრისტეს,
ჩვენთან და ჩვენთვის მყოფ ღმერთს.
მოდით, სულო წმიდაო, შენი ნათლითა
და შენი სიყვარულით!

21

მარცხი

დიდმარხვის V კვირადღე, «ბ», [I], ი

2021

კვირა

იერ 31,31-34; ფს 50; ებრ 5,7-9; იო 12,20-33

ამ კვირის განმავლობაში შესაძლებელია აირჩეს

„ა“ წლის დიდმარხვის მე-5 კვირადღის საკითხავები

სადაც მე ვარ, ჩემი მსახურიც იქ იქნება იო 12,26

ეს სიტყვა მაფიქრებს დიდი კვირისა და პასექის დღეებზე. ეს იქნება ლოცვის, მარხვისა და ძმური ქმედითი სიყვარულის დღეები. ეს იქნება უფლის ვნების მტკივნეული გამოცდილების გაზიარების დღეები, დღეები, რომელთა გარეშეც შეუძლებელია აღდგომის დღესასწაულის დაგემოვნება. მადლობა, იესო: მათ ვინც შენ მოგდევს ტანჯვის გზაზე, შენ უმზადებ შენი დიდების უღევ სიხარულს.

22 მარტი

დიდმარხვის V კვირა [I], ი

2021 ორშაბათი

დან 13,1-915-1719-30.33-62; ფს 22; იო 8,1-11

არც მე გდებ მსჯავრს იო 8,11

ცოდვილები, რომელთაც ცოდვილი ქალის ჩაქოლვა სურდათ, შეჩერდნენ. როდესაც იესომ შეახსენა მათ, რომ ისინიც ცოდვილნი იყვნენ, ხელი აიღეს ჩანაფიქრზე. როდესაც იესო ჩემს ცოდვას მახსენებს, მეც მოწყალე ვხდები.

23 მარტი

დიდმარხვის V კვირა [I], ი

(10.III) წმ. ღირსი იოანე ხახულელი, მონაზონი, X-Xსს;
წმ. ტურიზიუს მონგროვეხოელი, ეპ., +1606

2021

სამშაბათი

რიცხ 21,4-9; ფს 101; იო 8,21-30

ბევრმა ირწმუნა იგი იო 8,30

როდესაც იესო მამისადმი ერთგულებას მოწმობს,
მრავალი მისი მსმენელი ენდობა მას. შემდეგ კი,
განსაცდელს მრავალი ვერ გაუძლებს.
იესო, გამოაცოცხლე ქრისტიან ერში
შენდამი რწმენა და სიყვარული.

24 მარტი

დიდმარხვის V კვირა [I], ი

2021 ოთხშაბათი

დან 3,14-20.46-50.91-92.95; დან 3,52-56; იო 8,31-42

წამებულ მისიონერთა ხსოვნისათვის ლოცვისა და მარხვის დღე

იხსნა თავისი მორჩილნი, რადგან მისი მოსავნი იყვნენ დან 3,95

ეს მეფე ნაბუქოდონოსორის სიტყვებია, რომელიც აღიარებს ისრაელის ღმერთის დამხსნელ მოქმედებას თავისი მსახურებისადმი, რომლებიც მან ცეცხლოვან ღუმელში ჩაყარა. უფლის მოსავს ვერ გაუცრუვდება იმედები. არაერთხელ დავრწმუნებულვარ ამ ჭეშმარიტებაში.
მადლობა, მამაო, მადლობა, იესო, თქვენი ერთგული სიყვარულისათვის.

25 მარტი

უფლის ხარება, დდ, [ს],თ

(12.III) წმ. მეფე დემეტრე თავდადებული (+1289), წამებული
2021 ხუთშაბათი

ეს 7,10-14; 8,10გ; ფს 39; ებრ 10,4-10; ლკ 1,26-38

ჭიათურის კათოლიკური ეკლესიის დღეობა

გიხაროდენ, მიმადლებულო,
შენთანაა უფალი ლკ 1,28

როდესაც თავმდაბალნი ვართ და ღვთის სიტყვის
დამყოლნი, ვემსგავსებით ჩვენს დედა მარიამს.

მასთან ერთად და მის მსგავსად შეგვეძლება
გავიხაროთ!

26

მარცხი

დიდმარხვის V კვირა [I], ი

2021

პარასკევი

იერ 20,10-13; ფს 17; იო 10,31-42

მ. ემანუელ გარდიძის გახსენება (+1966)

შენ მოგანდე
ჩემი სამართალი! იერ 20,12

იერემიასაგან ისწავლა იესომ ეს სიტყვები: „მამაო, შენს ხელთ მომინდვია ჩემი სული“. და იესოსგან მეც ვსწავლობ, მივენდო მამას, გინდ სულიერ, გინდ ერთად ცხოვრებისა და გინდ მატერიალურ სირთულეებში.

როგორც ბავშვი მიენდობა თავის მშობლებს ყოველივეში, ასევე მეც მოგენდობი შენ, მამაო ჩემო!

27 მარტი

დიდმარხვის V კვირა [I], ი

2021

შაბათი

ეზეკ 37,21-28; იერ 31,10-13; იო 11,45-56

იესო უნდა მოძკვდარიყო,
რათა ერთად შეეკრიბა ღმრთის
გაფანცული შვილები იო 11,51

იმ წლის მღვდელმთავარი აცხადებს ამ აუცილებლობას, რათა გაამართლოს თავისი ბოროტება. ჩვენ ვმადლობთ იესოს: ჯვარზე სიკვდილით და აღდგომით იგი აღასრულებს ამ სიტყვას, თითქოს წინასწარმეტყველურს. მისი სიყვარულით ჩვენ ნამდვილად ერთობაში აღმოვჩნდებით, როგორც ზეციერი მამის შვილები!

28

მარტი

ზზობისა და უფლის ვნების კვირადღე,
«ბ», [II], წ

2021

კვირა

მაკ 11,1-10 ან, იო 12,12-16; ეს 50,4-7; ფს 21; ფილიპ 2,6-11;
ვნება: მარ 14,1 - 15,47

იფხიზლეთ და ილოცეთ, რათა
არ შეხვიდეთ საცდუნებელში მარ 14,38

იესომ მაგალითი მოგვცა თავისი ვნების ბაღში:
თავი მიუძღვნა მამის ნების აღსასრულებლად, ანუ
ყოველი ადამიანის დახსნას მათი ცოდვებისაგან.

ესაა ლოცვა, რომელიც გვათავისუფლებს
ყოველდღიური თავკერძობის ცდუნებისაგან.
აჰა მე, მამაო, რათა შენ სიყვარულს შეესხას
ხორცი!

29 მარტი

დიდი ორშაბათი [II], ი

2021

ორშაბათი

ეს 42,1-7; ფს 26; იო 12,1-11

ღარიბნი ყოველთვის გვერდითა გყავთ, მე კი ყოველთვის როდი გეყოლებით იო 12,8

მარიამი, ლაზარეს და, ნელსაცხებელს სცხებს იესოს ფეხებს. იგი დააფასებს ამ ჟესტს და ღებულობს მას, როგორც თავისი დამარხვის წინასწარმეტყველებას.

იგი კვდება ყველასათვის, ღარიბთათვისაც. ისინი პირველნი გაიხარებენ მისი სიკვდილისა და აღდგომის ამბით. ისინი ყველაზე მეტად იქნებიან მაღლიერნი მარიამისა იმისათვის, რომ მან იესო შეიყვარა, მათი მაცხოვარი!

30 მარტი

დიდი სამშაბათი [II], ი

2021 სამშაბათი

ეს 49,1-6; ფს 70; იო 13,21-33.36-38

ხალხების ნათელად გაგხდი ეს 49,6

თავისი მორჩილისადმი ღმერთის ეს დაპირება
ნებისმიერზე ითქმის, ვინც მისი მოძღვრების ერ-
თგულია. იესო კი მას სისავსით აღასრულებს და
თავის მოწაფეებს მიუსადაგებს. მან ხომ თქვა: „მე
ვარ ნათელი სოფლისა“, და მოწაფეებს კი უთხრა:
„თქვენა ხართ ნათელი სოფლისა“.

31

მარტი

2021

დიდი ოთხშაბათი, [II], ი
წმიდა მირონის კურთხევის წირვა თბილისში,
მარიამის აღყვანების საკათედრო ტაძარში
ოთხშაბათი

ეს 50,4-9; ფს 68; მთ 26,14-25

ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ,
ერთი თქვენგანი გამცემს მთ 26,21

იუდამ ოცდაათი ვერცხლი ამჯობინა იესოს
სიყვარულსა და მეგობრობას. და ეს მაშინვე, როცა
თავად უფალმა მას ლუკმა გაუწოდა, თავისი
განსაკუთრებული სიყვარულის ნიშანი.
იესო, შემეწყალე მე!